ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის

2025 წლის ანგარიში

ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულებისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამსახური ასრულებს დაკისრებული მოვალეობას. შესრულებისას ურთიერთობა გვაქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ენერგეტიკის სამინისტროებთან, სსიპ- სახელმწიფო ქონების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მერიის სხვადასხვა სამსახურებთან და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებთან.

2025 წელს - ქ. სენაკში, მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქ. სენაკში, ახალსოფლის და თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სპორტული მოედნის მოსაწყობად შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე გაკეთდა საკადასტრო აზომვითი ნახაზები, რომელიც გაიგზავნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში კატეგორიის ცვლილებისა და შემდგომ გადმოცემის თაობაზე, რომელიც გადმოგვეცა, გაიგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და ოთხივე მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად (ს/კ 44.01.35.871, 44.13.23.632, 44.03.25.558, 44.03.29.701).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 30 სექტემბრის N1237412 წერილის საფუძველზე სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ მენჯის, ზანის, თეკლათის საჯარო სკოლის შენობების პირველ სართულზე მდებარე თითო ოთახი უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში, ერთი წლის ვადით, გადმოეცა სენაკის მუნიციპალიტეტს შემდგომში ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის“ გაერთიანებაზე გადასაცემად, რაზედაც მომზადდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის“ გაერთიანებას გადაეცა აღნიშნული უძრავი ქონებები.

2025 წლის განვლილ პერიოდში სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებიდან მიღებულმა შემოსულობებმა სულ შეადგინა 62 100 ლარი, მათ შორის შენობა - ნაგებობებიდან 44 200 ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გადაცემიდან 17 900 ლარი.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოვიდა მომართვები სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემისათვის პოზიციის დაფიქსირების თაობაზე. ვაწარმოებთ ამ საკითხზე შემოსული მომართვების რეგისტრაციას, ადმინისტრაციული ერთეულისა და საკადასტრო კოდის მითითებით. სათანადო მასალების მომზადების შემდეგ პასუხის გაცემას. ამ მხრივ 2025 წელს შემოსულია 36 მომართვა. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოდის მომართვები სისტემური რეგისტრაციის მონაცემებში დაფიქსირებული მოსარგებლე სუბიექტის არსებობის თაობაზე, შემოსულ 30 მომართვაზე გაცემულია პასუხი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში შემოსულ 35 განცხადებას გაეცა პასუხი. ასევე პასუხი გაეცა საშემოსავლო სამსახურიდან შემოსულ 2 მომართვას. მონაწილეობა მივიღეთ

ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის - სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული პირების ხელშეწყობა სოციალურ- ეკონომიკური გაძლიერების მიზნით სამუშაო ჯგუფის კომისიის მუშაობაში.

2025 წლის იანვრის თვეში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ იქნა „მრავლობითი საფრთხის კატასტროფების რისკის საინფორმაციო სისტემის ციფრული პორტალი, პროექტის „კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, რომლის ტრენინგებსაც დავესწარით ქ. თბილისში. ასევე ზუგდიდსა და თბილისში დავესწარით ტრენინგებს გარემოს დაცვითი მიმართულებით, კერძოდ „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავება თემებში“.
მონაწილეობა მივიღეთ ათეას მიერ გამოცხადებულ კონკურსის „საუკეთესო პრაქტიკა“, გამარჯვებული მუნიციპალიტეტების დაჯილდოების ცერემონიაზე, სადაც წარდგენილი პროექტი „ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა სენაკის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის შესაბამისად „ გამოცხადდა 2024 წლის გამარჯვებულად ნომინაციაში „გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, ენერგო ეფექტურობა“ . სენაკის მუნიციპალიტეტის მერს და წარმდგენ სპეციალისტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილემ გადმოგვცა პრიზები და დიპლომი.
ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული „მერების შეთანხმების „ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად ენერგო ეფექტური ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და ტყის რესურსების დაცვის მიზნით შევიძინეთ 12 ერთეული ენერგო ეფექტური ღუმელი და გადავეცით სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, ხორშის, ეკისა და უშაფათის საბავშვო ბაღებსა და რწმუნებულებს.
ადგილობრივი მეწარმეების სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებისა და ციფრულ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სენაკის ტექნო პარკთან ერთად განვახორციელეთ პროექტი „ინოვაციები მცირე და საშუალო ბიზნესში“. პროექტის ფარგლებში კონკურსში ჩართულ 35 მეწარმეს 7 დღის განმავლობაში ტექნო პარკის მიერ მოწვეული ტრენერების მიერ ჩაუტარდათ სწავლება, ხოლო დემო დღეზე მათ მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მერიის რჩეული გახდა 3 ინოვაციური პროექტი, ხოლო 3 მეწარმე გახდა ტერა-ბანკის და კომპანია „მასტერ ედუს“ რჩეული.
აპრილის თვიდან გამოვაცხადეთ აგრარულ სფეროში ჩართული პირების ტექნიკური დახმარების საგრანტო კონკურსი. კონკურსის ბიუჯეტი 15 000 ლარი. კონკურში მონაწილეობა მიიღო 17 პირმა. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 7 საპროექტო იდეა, მათ შორის 2 ქალი და 5 ახალგაზრდა ფერმერი.
ოქტომბრის თვეში სენაკის ტექნო პარკთან ერთად განვახორციელეთ კლიმატის ცვლილების ღონისძიება „კლიმატის ჰაკათონი“, სადაც სენაკის მერიის 2 რჩეული გუნდი დაჯილდოვდა პრიზებით.
დავესწარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგს ქ. ზუგდიდში „გარემოსდაცვითი სამართლიანობა“.

ქ. სენაკში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, პირველი ავტომობილის ინსტალაციის წინ განთავსდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა - ლაითბოქსი რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

არსებული ტურისტული, ისტორიული, კულტურული, ბუნების ძეგლებისა და ობიექტების შესახებ.
განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების და ამ ობიექტებამდე მისასვლელი მარშრუტების საინფორმაციო/მიმართულების მანიშნებელი დაფებით აღჭურვის მეორე ეტაპი - ახალი 31 აბრა და 21 ბოძი.
მომზადდა სპეციალური QR დაფები, რომელიც შეიცავს კონკრეტული ადგილის კოორდინატს გუგლის რუკაზე და დამონტაჟდა ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი ბილიკების დასაწყისში - 50 ცალი აბრა.
მომზადდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული, ისტორიული, კულტურული, ბუნების ძეგლებისა და ობიექტების შესახებ ტურისტული რუკა. განსაკუთრებით გამორჩეული ადგილების შესახებ გამოტანილი ინფორმაცია ფოტოებით და შესაბამისი ტექსტებით - ორ ენოვანი ვერსია.
შეიქმნა სენაკის მუნიციპალიტეტის ციფრული გზამკვლევი (ტურისტული ციფრული რუკა.
განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, ყველაზე გამორჩეული 15 ძეგლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ფოტომასალის მომზადება და მათი დატანა google-ს პლატფორმაზე. ძეგლის მონახულება ფიზიკურად და მდგომარეობის შეფასება რეალურ დროში.
ოთხმა ინფლუენსერმა მოამზადა მცირე ფორმატის პრომო ვიდეოები სენაკის შესახებ სხვადასხვა პლატფორმებზე დასადებად (facebook, tik-tok, Instagram

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ძაღლების მომრავლების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრისა და დადგენილი წესების დაცვით მათი მოგვარების ღონისძიებების შედეგად, ინდივიდუალური მეწარმე გელა ნაცვლიშვილის მიერ 2025 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნა 2025 წლის 1 მაისის N70 ხელშეკრულებით 132 ძაღლი, იმავე წლის 3 დეკემბრის, შეთანხმება N1 საფუძველზე, დამატებით - 12 ძაღლი. სულ- 144.

მომზადდა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. განხორციელდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების დაყოფა. მომზადდა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურეობის შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაციები.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე დაისვა საკითხი სხვადასხვა დანიშნულებით უძრავი ქონებების სენაკის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში, ასევე სარგებლობაში გადმოცემის თაობაზე.

იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის მოხსნაზე და შეზღუდვის არსებობის გამო მომზადდაშესაბამისი კორესპონდენციები.

მომზადდა კორესპონდენცია და სამართლებრივი აქტები (ბრძანება, საკუთრების მოწმობა და სხვა) მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა-იზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებს გადაეგზავნა ინფორმაციულად დამუშავებული მონაცემები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების და მისი განკარგვის თაობაზე.

ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისგან შემოსული მომართვებით და განცხადებებით მოთხოვნილი საკითხები მისი შემდგომი გადაწყვეტის მიზნით ქვემდებარეობის შესაბამისად გადაეგზავნათ უფლებამოსილ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (პრივატიზაცია, სარგებლობა, სერვიტუტი და სხვ. ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებული თანხმობა, შუამდგომლობები და სხვა) ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს გაეგზავნათ შესაბამისი პასუხები (წერილი, მომართვა, შუამდგომლობები, განცხადებები). მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ კორესპონდენციებზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოდის მომართვები სისტემური რეგისტრაციის მონაცემებში დაფიქსირებული მოსარგებლე სუბიექტის არსებობის თაობაზე, შემოსულ მომართვაზე გაცემულია პასუხი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში შემოსულ განცხადებებს გაეცა პასუხი. ასევე პასუხი გაეცა საშემოსავლო სამსახურიდან შემოსულ მომართვებს.